Kalender 2025

კალენდარი 2025-ხელოვნური ინტელექტი გაკვეთილზე

მოამზადა ხათუნა მჭედლიშვილმა

რა არის ხელოვნური ინტელექტი? რა შესაძლებლობები აქვს და როგორ შეგვიძლია ის გამოვიყენოთ გერმანული ენის გაკვეთილზე? - ამ შეკითხვებზე პასუხს, გაკვეთილისთვის საინტერესო იდეებსა და სამუშაო მასალას გვთავაზობს გოეთეს ინსტიტუტის 2025 წლის კალენდარი.

ჩამოსატვირთად გამზადებულ სამუშაო ფურცლებზე განთავსებული დავალებები და აქტივობები ხელს უწყობს ლექსიკის განვითარებასა და გამოყენებას თემაზე ხელოვნური ინტელექტი (AI) სხვადასხვა სფეროში — ყოველდღიურ ცხოვრებაში, განათლებაში, ხელოვნებაში, მედიცინაში, სამუშაო გარემოში, გარემოს დაცვასა და ეთიკაში. მასალების საშუალებით მოსწავლეები ასევე გაეცნობიან ხელოვნური ინტელექტის ისტორიას, განვითარებას, გამოყენების შესაძლებლობებსა და სამომავლო პერსპექტივებს, ასევე მისი შესაძლებლობებს, რისკებსა და საზოგადოებაზე გავლენას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონკრეტულ პროგრამებს, როგორიცაა ChatGPT, BCI ან INKA, ასევე ისეთ თემებს, როგორებიცაა პრომტების (შესაბამისი ბრძანებების მიცემა) შექმნა, სურათების გენერაცია და სამართლებრივი რეგულაციები.

მასალებში წარმოდგენილია სავარჯიშოები სხვადასხვა გრამატიკულ თემებზე (მაგ. Passiv, Futur I, konjunktiv II, შედარებითი ნაცვალსახელები ...) და საკომუნიკაციო უნარებზე, როგორიცაა აზრის გამოთქმა, სურათისა და კარიკატურის აღწერა, ტექსტის წერა (მაგ. წერილი, კომენტარი), წაკითხულის გააზრება, პრეზენტაციის მომზადება და დისკუსია. განსაკუთრებული ადგილი უკავია AI-ის შემოქმედებით და გააზრებულ გამოყენებას გაკვეთილზე .

კალენდრის, სამუშაო და მასწავლებლის მასალის ჩამოსატვირთად ეწვიეთ გვერდს:

უსასყიდლოდ კალენდრის მიღება შესაძლებელია საქართველოს გოეთეს ინსტიტუტში.

თემაზე მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ გვერდს: https://www.goethe.de/de/spr/sbp/k25.html